დანართი 1

მოხალისეობის ფესტივალი

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით, 2026 წლის აპრილი-დეკემბრის პერიოდში სასკოლო მოხალისეობის ფესტივალი განხორციელდება, რომელიც აერთიანებს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებს და მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში მოხალისეობის კულტურის გაძლიერებას, მათი მოტივაციის ამაღლებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობას.

ფესტივალი წარმოადგენს პლატფორმას IX–XI კლასის მოსწავლეებისთვის, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა თავად დაგეგმონ და განახორციელონ მოხალისეობრივი ინიციატივები, რომლებიც პასუხობს ადგილობრივ სოციალურ, გარემოსდაცვით, კულტურულ და საგანმანათლებლო გამოწვევებს. პროგრამა ორიენტირებულია ახალგაზრდების პრაქტიკული გამოცდილების მიღებაზე, მათი ლიდერული, კომუნიკაციური და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებაზე.

პროექტი განხორციელდება რამდენიმე ეტაპად და მიზნად ისახავს მოხალისეობრივი ინიციატივების განვითარებასა და სკოლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. პირველ ეტაპზე შერჩეული საუკეთესო იდეის მქონე სასკოლო გუნდები დაგეგმავენ და განახორციელებენ მცირე, ერთდღიან მოხალისეობრივ ინიციატივებს, რაც მათ მისცემს პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.

განხორციელებულ ინიციატივებში ჩართული მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივ ტრენინგ-გადამზადებაში. ტრენინგის ფარგლებში ისინი დაჯგუფდებიან რაიონების *(რესურც ცენტრების გადანაწილების პრინციპით)* მიხედვით და ერთობლივად შეიმუშავებენ უფრო მასშტაბურ ინიციატივებს, რომლებიც განხორციელდება შესაბამისი რაიონის სახელით. ჯამში განხორციელდება 5 ინიციატივა შემდეგ ტერიტორიულ ერთეულში: დიდუბე–ჩუღურეთი; ვაკე–საბურთალო; გლდანი–ნაძალადევი; ძველი თბილისი; ისანი–სამგორი.

პროექტი დასრულდება შემაჯამებელი ღონისძიებით/ფესტივალით, სადაც გუნდები წარადგენენ საკუთარ გამოცდილებას, ხოლო შეფასების საფუძველზე გამოვლინდება გამარჯვებული რაიონი. გამარჯვებული გუნდი (25 მოსწავლე) მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას მიიღონ ახალი ცოდნა და გააზიარონ საკუთარი გამოცდილება საერთაშორისო დონეზე.

ფესტივალის განხორციელების ეტაპები:

I ეტაპი - კონკურსის გამოცხადება და მონაწილეთა შერჩევა

ცხადდება კონკურსი, რომლის ფარგლებშიც სკოლა, 5-კაციანი გუნდის სახელით, წარადგენს განაცხადეს (ერთი სკოლა წარადგენს მხოლოდ ერთ განაცხადს). შემოსული განაცხადები განიხილება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რის საფუძველზეც შეირჩევა 25 საუკეთესო ინიციატივის მქონე სკოლა (თითო რაიონიდან ხუთი სკოლა).

განაცხადების მიღების პერიოდი: 2 აპრილი - 25 აპრილი

II ეტაპი - მცირე მოხალისეობრივი ინიციატივების განხორციელება

შერჩეული 25 სასკოლო გუნდი გეგმავს და ახორციელებს მცირე, ერთდღიან მოხალისეობრივ ინიციატივებს, რომლებიც პასუხობს ადგილობრივ საჭიროებებს. პროცესის განმავლობაში მონაწილეები იღებენ მენტორულ მხარდაჭერას და მონაწილეობენ საინფორმაციო/სასწავლო შეხვედრებში, რაც ხელს უწყობს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ინიციატივების განხორციელების პერიოდი: 15 მაისი - 20 ივნისი

III ეტაპი - ერთობლივი ტრენინგ-გადამზადება, იდეების განვითარება და მენტორინგი

პროექტში ჩართული ყველა (125) მოსწავლე ერთიანდება და გადის საერთო ტრენინგ-გადამზადებას. ტრენინგი ემსახურება მონაწილეთა გაცნობას, დაახლოებას, გუნდური მუშაობის

გაძლიერებას და გამოცდილების გაზიარებას. ამავე ეტაპზე მონაწილეები დაჯგუფდებიან რაიონების მიხედვით და დაიწყებენ უფრო მასშტაბური ინიციატივების იდეების გენერირებას.

ტრენინგის განხორციელების პერიოდი: ივნისი, 2026 წელი

IV ეტაპი - რაიონულ დონეზე (რესურს ცენტრების მიხედვით) ერთობლივი ინიციატივების განხორციელება

თითოეული რაიონის *(იგულისხმება რაიონები რესურს ცენტრების გადანაწილების მიხედვით)* ფარგლებში სკოლის მოსწავლეები ერთიანდებიან, გეგმავენ და ახორციელებენ უფრო მასშტაბურ მოხალისეობრივ პროექტს, რომელიც უკვე რაიონის სახელით ხორციელდება. თითოეული რაიონული ინიციატივა განხორციელდება ერთ კონკრეტულ დღეს. ეს ეტაპი აძლიერებს თანამშრომლობას და უზრუნველყოფს უფრო ფართო საზოგადოებრივ გავლენას. პროცესის განმავლობაში მონაწილეები იღებენ აქტიურ მენტორულ მხარდაჭერას ახალგაზრდობის სააგენტოდან.

რაინული ინიციატივების განხორციელების პერიოდი: ოქტომბერი, 2026 წელი

V ეტაპი - შემაჯამებელი ღონისძიება და საერთაშორისო სასწავლო ვიზიტი

პროექტი სრულდება ფესტივალით/შემაჯამებელი ღონისძიებით, სადაც მონაწილე გუნდები წარადგენენ განხორციელებულ ინიციატივებს. ჟიურის მიერ, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული რაიონი (25 მოსწავლე 5 სხვადასხვა სკოლიდან). საბოლოო ეტაპზე გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში, რაც წარმოადგენს პროექტის სამოტივაციო და განვითარებაზე ორიენტირებულ დასასრულს.

შემაჯამებელი ღონისძიების და სასწავლო ვიზიტის განხორციელების პერიოდი: ნოემბერი - დეკემბერი, 2026 წელი.

მონაწილეთა შერჩევა

მოხალისეობის ფესტივალის მონაწილეთა შერჩევა ხორციელდება ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე.

მონაწილეობის წესები:

- პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების IX, X და XI კლასის მოსწავლეებს.
- თითოეულ სკოლას შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი.
- სკოლა განაცხადს წარმოადგენს 5 (ხუთი) მოსწავლისგან შემდგარი გუნდის სახელით.
- გუნდის წევრები შესაძლებელია იყვნენ ერთი და იმავე სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეები.
- განაცხადის წარმოდგენით სკოლა ადასტურებს, რომ გუნდის წევრები მზად არიან მონაწილეობისათვის პროექტის ყველა ეტაპში, მათ შორის, მენტორინგის პროცესში, პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ფესტივალის შემაჯამებელ ღონისძიებაში და, გამარჯვების შემთხვევაში, საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მისაღებად.
- განაცხადის ფორმა უნდა იყოს სრულყოფილად, მკაფიოდ და გასაგებად შევსებული, წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტისა და სრულყოფილების დაცვით.
- განაცხადი უნდა იყოს წარმოდგენილი დადგენილ ვადებში, პროექტის ორგანიზატორების მიერ განსაზღვრული წესისა და ფორმატის შესაბამისად.
- მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან დაიცვან პროექტის წესები, ეთიკური სტანდარტები და თანამშრომლობის პრინციპები პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.

სასკოლო გუნდების შერჩევის კრიტერიუმები

განაცხადები/ინიციატივები განიხილება და ფასდება შემრჩევი კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად:

1. განაცხადის სიზუსტე;
2. პროექტის მიზანი;
3. სოციალური მნიშვნელობა;
4. განხორციელებადობა;
5. ინოვაციურობა და კრეატიულობა.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

რაიონული ინიციატივების განხორციელების ეტაპზე, ხუთივე პროექტი ფასდება ჟიურის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. ინოვაციურობა;
2. კოლაბორაცია;
3. გავლენა;
4. კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლება;
5. სასკოლო გავლენა და მდგრადობა.

წესები!

- **საპროექტო განაცხადის შევსება შეუძლია IX – XI კლასის მოსწავლეებისგან შემდგარ 5 კაციან გუნდს;**
- **თითოეულმა სკოლამ უნდა წარადგინოს, შემდგომ განახორციელოს მხოლოდ ერთი საკონკურსო პროექტი. პროექტი უნდა განხორციელდეს სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმებულ თარიღში;**
- **განხორციელებული პროექტი შეფასდება ჟიურის მიერ წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით;**

- ✔ **არ განიხილება პროექტი, რომლის შინაარსი ატარებს დისკრიმინაციულ ან პოლიტიკურ ხასიათს. შერჩეული პროექტის მიერ ნებისმიერ ეტაპზე მსგავსი შინაარსის აქტივობის განხორციელება ავტომატურად გამოიწვევს გუნდის დისკვალიფიკაციას;**
- ✔ **საპროექტო განაცხადის წარდგენის ვადის გასვლის შემდგომ განაცხადები არ მიიღება.**

<u>ფესტივალის საორგანიზაციო გუნდი უზრუნველყოფს:</u>

- პროექტის განხორციელებისთვის საჭირო მარკეტინგულ/ვიზუალურ მასალებს (მათ შორის მაისურებს, ნაჭრის ჩანთებს, პინებს, ფლაერებს, ბუკლეტებს, რეზინის სამაჯურებს, A3 ზომის პოსტერებსა და წებოვან სტიკერებს).

- მენტორული მხარდაჭერას პროექტის იდეის შემუშავებიდან საბოლოო განხორციელებამდე;

- გამარჯვებული გუნდის მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებაში, რომელიც მოიცავს ფრენის ბილეთების, განთავსების და ღონისძიებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დაფარვას.